



ეთქვას დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი შალვა გვარამაძე აღნიშნავს, რომ საქპატენტის ექსპერტიზის გადაწყვეტილების თანახმად საქართველოში გასავრცელებლად წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „MOUNTAIN DESIGNS PTY LTD” სახელზე რეგისტრირებული და საქართველოში დაცული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისა „BEST MOUNTAIN”, (IR952546) მე-18 და 25-ე კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. აქედან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” პუნქტის თანახმად, ნიშნის მფლობელს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე მე-18 და 25-ე კლასის საქონლის ჩამონათვლის მიმართ.

აპელანტი არ ეთანხმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს საფუძველი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის საქართველოში დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის თანახმად მე-18 და 25-ე კლასის საქონლისათვის. აპელანტი ითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი აღნიშნული გადაწყვეტილება და მოხდეს ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის №658440 გავრცელება საქართველოში საქონლის სრული ჩამონათვლისათვის.

აპელანტი მის მოთხოვნას ამყარებს შემდეგ გარემოებებზე: დაპირისპირებული და განცხადებული ნიშნების მსგავსების მიუხედავად, მათ შორის არსებობს იმ დონის განსხვავებადობა, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ. ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად – განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ წარმოითქმის როგორც: ბესთ მაუნთინ ხოლო დაპირისპირებული: მოუნთინ დიზაინს.

აპელანტის აზრით, ფონეტიკური თვალსაზრისით სასაქონლო ნიშნები სრულიად განსხვავებულად წარმოითქმის. განსხვავებულია ნიშნების საწყისი სიტყვები „ბესთ” და „მოუნთინ”. ნიშნების განმასხვავებლობის შედარებისას კი

განსაკუთრებული დატვირთვა სწორედ ნიშნის საწყის სიტყვებზე მოდის, ამ შემთხვევაში სწორედ საწყისი ნაწილების განსხვავება სძენს ნიშნებს იმ დონის განსხვავებადობას, რომ მათი ერთმანეთში აღრევა არ მოხდება. ფონეტიკური თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულად წარმოითქმის სასაქონლო ნიშნებში სიტყვები „ბესთ“ და „დიზაინს“, რაც ფონეტიკური თვალსაზრისით ნიშნებს კიდევ უფრო განსხვავებულს ხდის.

განსხვავებულია ნიშნები ვიზუალური თვალსაზრისითაც. განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ჩაწერილია სტანდარტული ლათინური ასომთავრული შრიფტით – BEST MOUNTAIN.

ხოლო რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს ის კომბინირებული ნიშანია და წარმოადგენს რომბს, რომლის შიგნითაც მოთავსებულია მთების გამოსახულება და ასევე სტილიზებული ლათინური წარწერა „Mountain Designs“, რომელიც ხაზს უსვამს ნიშნების განსხვავებას და გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას.

ნიშნები განსხვავებულია სემანტიკური თვალსაზრისითაც. ორივე სასაქონლო ნიშანს გააჩნია აზრობრივი დატვირთვა. წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ქართულად ითარგმნება როგორც „საუკეთესო მთა“, ხოლო დაპირისპირებული კი „დიზაინი მთისთვის“/„მთის დიზაინი“. თანახმად დამკვიდრებული პრაქტიკისა სასაქონლო ნიშნების მსგავსების განსხვავების განსაზღვრისას სასაქონლო ნიშნების სემანტიკური მნიშვნელობა ფაქტობრივად გამორიცხავს ნიშნების აღრევას.

აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი გამოიყენება ძირითადად სპორტული საქონლისათვის, რომელიც უმთავრესად განკუთვნილია მოგზაურობისა და ლაშქრობებისათვის, შესაბამისად სასაქონლო ნიშანი პირდაპირ მიანიშნებს საქონლის დანიშნულებაზე. გარდა ამისა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს მისი მფლობელის საფირმო დასახელებასაც.

იმის გათვალისწინებით, რომ დაპირისპირებული ნიშნების მსგავსების მიუხედავად მათ შორის არსებობს განსხვავება როგორც ფონეტიკური, სემანტიკური, ისე ვიზუალური თვალსაზრისით, აპელანტი თვლის, რომ არ არსებობს საფუძველი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის IR658440 საქართველოში გავრცელებაზე უარის თქმისა.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო

საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 26 ივლისის №1432/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატა მიიხნევს, რომ დაპირისპირებული ნიშნები აღრევამდე მსგავსია და განცხადებული ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში მოხდება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. განცხადებული ნიშანი „BEST MOUNTAIN” ისევე როგორც დაპირისპირებული ნიშანი „Mountain Designs” შესრულებულია ლათინური ანბანით. მართალია ნიშნებში არსებობს განსხვავებული სიტყვები „best” და „designs” და დაპირისპირებულ ნიშანი „Mountain Designs” კომბინირებულია და სიტყვიერი ელემენტების გარდა შეიცავს გამოსახულებას, თუმცა აღნიშნული გარემოება არ ანიჭებს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას, რადგანაც ორივე ნიშანში ძირითადი დატვირთვა მოდის სიტყვებზე „Mountain” და ნიშნების ვიზუალური დაკვირვებისას სწორედ სიტყვებზე „Mountain” კეთდება ძირითადი აქცენტი. სიტყვები „best” და „designs” მომხმარებელმა შესაძლოა უფრო მეტად აღიქვას, როგორც ხარისხის ან რაიმე სახეობის აღმნიშვნელი და ერთგვარ დამატებად. ამასთან, კოლეგია არ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ განცხადებული ნიშანი მიაწინებს საქონლის დანიშნულებაზე.

კოლეგია ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დაპირისპირებული ნიშნები დაიცვება ერთი და იგივე მე-18 და 25-ე კლასების საქონლის ჩამონათვლისათვის. რაც კიდევ უფრო ზრდის მათი აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ნიშნებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავება კოლეგია მიიხნევს, რომ აღნიშნული ნიშნების ერთ სასაქონლო ბაზარზე თანაარსებობა გამოიწვევს მათ აღრევას და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას მწარმოებლის მიმართ.

ამდენად, კოლეგიის აზრით, არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ძალაში უნდა დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 26 ივლისის №1432/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების

ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „სებაგ თიერი“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 26 ივლისის №1432/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6.) გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ეშუტია

წევრები:

ე. ქემაშვილი

ი. გიქორაშვილი